საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 0 17 01182533

02/10/2017

ცაგერის საგანმანათლებლო რესურსცენტრს

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში შემოსული თქვენი 26/09/2017 წლის N1154334 და 27/09/2017 წლის N1164264 წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ მახაშის საჯარო სკოლამ, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 28/09/2017წ. N1171496 წერილის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ბალანსზე რიცხული ამორტიზებული შენობის ჩამოწერა და დემონტაჟი განახორციელოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მომსახურების ცენტრის თანხმობის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2010წ. 22 მარტის N82 და 2010წ. 13 აგვისტოს N239 დადგენილებებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

დემონტაჟი საჭიროა განხორციელდეს ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

დამატებით გაცნობებთ, რომ სადემონტაჟო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შენობის დემონტაჟთან დაკავშირებული ყველა ეტაპი და საორგანიზაციო საკითხები უნდა შეთანხმდეს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან.

ამასთან, გაცნობებთ, რომ დემონტაჟის დასრულების შემდგომ, საჯარო სკოლამ უნდა განახორციელოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა) და ცვლილებების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგინოს საქართველოს განათლებისა და მენიერების სამინისტროში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დემონტაჟის შემდგომ დაგეგმილია მშენებლობის პროცესი, ზემომოთხოვნილი ცვლილებები უნდა განხორციელდეს მშენებლობის პროცესის დასრულების შემდეგ და სამინისტროში წარმოდგენილ იქნას საჭირო დოკუმენტაცია.

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220